



ოქმი:ო02.37203311

თარიღი:26/11/2020

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2020 წელი, 25 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. ბიგვავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ზოიძე, ჯ.თავართქილაძე, ალ.დლონტი, ხ.ცერცვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ლ.ბიგვავა

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ლ.ბიგვავას მოხსენება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე, შემოსულობებსა და ხარჯებზე, აღინიშნა, რომ ობიექტური მიზეზების გამო ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა შემცირებული, შედგენის თვალსაზრისით უკეთაა დაცული პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, შემდეგ კონკრეტულიად განიხილა სოციალური პაკეტის დაფინანსება, რომელიც გასულ წელთან შედარებით 111-ათასი ლარითაა შემცირებული, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიჩნიეს, რომ უმჯობესი იყო სხვა პროგრამებში შემცირებულიყო თანხები ქვეყანასა და მუნიციპალიტეტში არსებული მძიმე ეპიდემოლოგიური სიტუაციის გამო. ამის შემდეგ დაივა შევითხვები, კომისიის წევრთა აზრით უნდა გაიზარდოს გენდერული საბჭოს დაფინანსება და აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქ.ოზურგეთში საზოგადოებრივი საპირფარეოს აგების საკითხი. კომისიის წევრმა ხ.ცერცვაძემ დააყენა დღის სახლის დაფინანსების გაზრდის და მინდობით აღსაზრდელად მიბარებულ 18 წლის ახალგაზრდების მატერიალურად დახმარების აუცილებლობის საკითხი. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ბიუჯეტის პროექტის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დაბრუნებას გადამუშავებისა და შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების პროექტი: "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ" - დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას გადამუშავებისა და შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

